ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2923018001**
თარიღი:**18/01/2023**

ქ.თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში(ს/კ 33.09.45.046) გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით (წერილი N 28-282301731, 17/01/2023 წ.) მომართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, რომლის თანახმად მერია გეგმავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის დადგმას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადასტურებს, რომ გრიგოლ რობაქიძე არის გამოჩენილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც აქვს დიდი დამსახურება თერჯოლის წინაშე, მისი ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქ.თერჯოლაში , რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში(ს/კ 33.09.45.046) გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტის, მე-2 ნაწილის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის მანუჩარ რობაქიძის ინიციატივის (წერილი N 28-282301731, 17/01/2023 წ) ,იურიდიულ საკითხთა კომისიის 2023 წლის 18 იანვრის N1 დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ.თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსება.

მუხლი 2. განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM